ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3860522

ნომერი: AR1578978

თარიღი : 20.02.2018

გაცემის თარიღი : 13.03.2018

გაცნობის თარიღი : 14.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 26ა; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემზარ ნაყოფია პ/ნ 62006044573
- გლდანი, Iმრ, კ-2, ბ-68

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 3 იანვრის №3761806 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 20 თებერვალს №AR1578978 განცხადებით მომართა ემზარ ნაყოფიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 3 იანვრის №3761806 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2017 წლის 10 ოქტომბერს №3602581 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.72.14.035.261), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. 2018 წლის 3 იანვრის №3761806 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.72.14.035.261), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 03.01.2018 -დან 03.01.2020 -ის ჩათვლით.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B16012465, მომზადების თარიღი: 02/02/2016 10:23:50) ემზარ ნაყოფია წარმოადგენს შპს ,,გდგ"-ს (ID ნომერი: 400161999) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 3 იანვრის №3761806 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად, გიორგი ბიჭაშვილის ნაცვლად, შპს ,,გდგ''-ს (ID ნომერი: 400161999) დაფიქსირებას.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთის (N 01.72.14.035.261) მესაკუთრეს, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია N 892018082705 - 31/01/2018, მომზადების თარიღი:11/02/2018 13:47:20) თანახმად წარმოადგენს შპს ,,გდგ''(ID ნომერი: 400161999). შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 3 იანვრის №3761806 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,გდგ''(ID ნომერი: 400161999).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 3 იანვრის №3761806 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 3 იანვრის №3761806 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.